დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №3
2018 წლის 17 იანვარი

ქ. დმანისი

დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პოლიტიკურ თანამდებობის პირთა და პროფესიულ საჯარო მოხელეთა თანამდებობრივი სარგოს ოდენობის განსაზღვრისა და საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების, 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.დ'' ქვეპუნქტის, საქართველოს კანონის „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ 34-ე მუხლის პირველი პუნქტის, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის და „საქართველოს 2018 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1

დამტკიცდეს დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პოლიტიკურ თანამდებობის პირთა და პროფესიულ საჯარო მოხელეთა თანამდებობრივი სარგოს ოდენობა და საშტატო ნუსხა დანართი №1 -ის შესაბამისად.

მუხლი 2

ძალადაკარგულად გამოცხადდეს „დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და აპარატის მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოს ოდენობის განსაზღვრისა და საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 18 დეკემბრის №32 დადგენილება (www.matsne.gov.ge, 22/12/2015; სახელმწიფო სარეგისტრაციო კოდი: 010250020.35.156.016226) .

მუხლი 3

დადგენილება ამოქმედდეს 2018 წლის 1 იანვრიდან.

დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე **მერაბ ოქრიაშვილი**

დანართი №1

დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 31 იანვრის დადგენილება №8 - ვებგვერდი, 07.02.2018 წ.
დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 დეკემბრის დადგენილება №52 - ვებგვერდი, 03.01.2019 წ.
დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 6 სექტემბრის დადგენილება №15 - ვებგვერდი, 09.09.2019წ.
დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 24 დეკემბრის დადგენილება №26 - ვებგვერდი, 28.12.2020წ.
დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 24 ნოემბრის დადგენილება №43 - ვებგვერდი, 25.11.2021წ.
დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 14 დეკემბრის დადგენილება №47 - ვებგვერდი, 17.12.2021წ.
დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 დეკემბრის დადგენილება №52 - ვებგვერდი, 31.12.2021 წ.
დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 25 იანვრის დადგენილება №5 - ვებგვერდი, 27.01.2022 წ.
დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 26 დეკემბრის დადგენილება №35 - ვებგვერდი, 29.12.2022წ.
დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 28 ნოემბრის დადგენილება №31 - ვებგვერდი, 30.11.2023წ.
დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 25 იანვრის დადგენილება №4 - ვებგვერდი, 30.01.2024წ.

პოლიტიკური თანამდებობის პირები და მათი თანამდებობრივი სარგოები

№	თანამდებობათა დასახელება	თანამდებობრივი სარგო	საშტატო რიცხოვნობა
1	საკრებულოს თავმჯდომარე	5457	1
2	საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე	4126	1
3	საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე	3594	2
4	საკრებულოს კომისიის თავმჯდომარე	2928	5

5	საკრებულოს ფრაქციის თავმჯდომარე	2662	
6	საკრებულოს ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე	2130	

პროფესიულ საჯარო მოხელეთა საშტატო ნუსხა, რანგები და თანამდებობრივი სარგოები

№	თანამდებობათა დასახელება	რანგი	თანამდებობრივი სარგო	საშტატო რიცხოვნობა
1	პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი აპარატის უფროსი	I	3458	1
2	პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი ადამიანური რესურსების მართვასა და საქმისწარმოების საკითხებში	III	1995	1
3	პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი საორგანიზაციო საკითხებში	III	1995	1
4	პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი შრომის უსაფრთხოების საკითხებში	III	1995	1